ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №23

ქ. ახმეტა 15 იანვარი 2024 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მისი მერის ალექსი ფიცხელაურის სახით, (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს ,,ვივა-ჟალუზი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი სიხარულიძეს სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ვდებთ ხელშკრულებას (შემდგომში-ხელშკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია: **ქსოვილის ნივთები (ფარდა-ჟალუზი CPVკოდი-39500000,39515440.ა/ბ).** ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2.ხელშეკრულების ობიექტი
"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" დაკვეთილი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი
3.1.საქონლის მიწოდება განხორციელდეს არაუგვიანეს **15.01.2024 წ-31.01.2024 წ.**
/თვე, რიცხვი, წელი/
3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: **ქ.ახმეტა.**

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
4.1.შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.მხარეთა უფლება მოვალეობები
5.1."შემსყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;მიიღოს გაწეული მომსახურება.
5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს: გაუუქმოს"მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია: გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს: მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **660 (ექვსას სამოცი) ლარს.**
/ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით/

7. ფასები

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ. ინფლაციის მსღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება,საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა), გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში -ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8.ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა.

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი) საქონლის მიღების შემდეგ (მაგ. საქონლის გადატვირთვის შემდეგ, საქონლის მიღების შემდეგ) წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში "მომწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია). ანგარიშსწორება განვადებით, შემსყიდველის ფაქტიური დაფინანსების მიხედვით ან სხვა დასაშვებია ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები : სასაქონლო ზედნადები, მიღება -ჩაბარების აქტი.

8.4 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (ფაქტიურად მოწოდებული საქონლის) და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშო დღის განმავლობაში.

8.5 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.02 %-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულიად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი გიორგი ხარიტონაშვილი.**

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლ მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **2024 წლის 15 მარტამდე.**

/მიღება-ჩ აბარების აქტის გაფორმებამდე, თუ შეუძლებელია მითითებუ ლი იქნეს კონკრეტუ ლი ვადა/

14.სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 224631165
მისამართი: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. 49
საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
სახაზინო კოდი - 3005400000

_____

წარმომადგენელი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი
ალექსი ფიცხელაური

Aleksi Pitskhelauri
Digitally signed by Aleksi Pitskhelauri
Date: 2024.01.15 16:41:35 +04'00'

მიმწოდებელი

შპს ვივა ჟალუზი
საიდენტიფიკაციო კოდი: 406095256
მისამსართი: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ.N13
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE54BG0000000707124600
ტელ: 032 2 45 44 99
E-mail: sofo@vivajaluzi.com

_____

წარმომადგენელი

დირექტორი
გიორგი სიხარულიძე

viva-jaluzi LLC
Digitally signed by viva-jaluzi LLC
Date: 2024.01.17 12:49:19 +04'00'